ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3342267

ნომერი: AR1515153

თარიღი : 17.06.2017

გაცემის თარიღი : 21.06.2017

გაცნობის თარიღი : 22.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარიამ ივანიშვილი-დემურიას I ჩიხი N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ახალმოსულიშვილი პ/ნ 13001000160
- გურჯაანი ს. ვაზისუბანი 21–ე ქ. N 16

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 719243
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.06.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 17 ივნისის AR1515153 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის ან სამშენებლო დარღვევის ცნობის დოკუმენტის pdf ფაილი: თქვენ მიერ წარმოდგენილია დადგენილება სამშებლო სამართალდარღვევის საქმეზე. იმისთვის, რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს შეთანხმებული პროექტის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის ქალაქთმშენებლობით პირობებთან შესაბამისობაზე, საჭიროა წარმოადგინოთ ექსპლუატაციაზე უარი თქმის დოკუმენტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურიდან და შეავსოთ შესაბამისი დოკუმენტის რეკვიზიტები. დამატებით წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა დარღვევით ნაწარმოები ადგილების მონიშვნით;

აქედან გამომდინარე, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.